ევროკავშირი საქართველოსთვის

ახალგაზრდა ფერმერთა ასოციაცია
YOUTH FARMERS ASSOCIATION

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

რეკომენდაციების დოკუმენტი

სურსათის უვნებლობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ კვების ობიექტებში მონიტორინგისა და ადვოკატირების გზით

მეორე ეტაპი

ავტორები:

ნინო ძირკველიშვილი

ნატალია ოქროშიაშვილი

ანა ბურჯანიძე

2024

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის **„სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა**: *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის*“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია “ახალგაზრდა ფერმერთა ასოციაცია” და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

რეკომენდაციების დოკუმენტი ეყრდნობა კვლევას, რომელიც ჩატარდა პროექტის “სურსათის უვნებლობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ კვების ობიექტებში მონიტორინგისა და ადვოკატირების გზით - მეორე ეტაპი” ფარგლებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 500-მა საზოგადოებრივმა კვების ობიექტმა, კახეთისა და ქვემო-ქართლის ყველა მუნიციპალიტეტიდან.

კვლევის ამოცანა:

- გამოიკვლიოს და შეაფასოს რამდენად ეფექტურია სურსათის უვნებლობის მიმართულებით მოქმედი კანონი/რეგლამენტები და სურსათის ეროვნული სააგენტოს მუშაობის პროცესში არსებული გამოწვევები ბიზნესოპერატორების დარღვევებთან/ შეუსაბამობებთან მიმართებაში;

რეკომენდაცია 1

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოს

უზრუნველყოფილ იქნას ყველა ბიზნესოპერატორის აღრიცხვა (რეგისტრაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად) და მათი დროული მონიტორინგი. შემცირდეს ისეთი ობიექტების რაოდენობა, სადაც სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებს ჯერ არ განუხორციელებიათ ვიზიტი.

რეკომენდაცია 2

სურსათის ეროვნულ სააგენტოს

გაიზარდოს არაგეგმიური ვიზიტების რაოდენობა კვების ობიექტებზე. არცერთი ბიზნესოპერატორი არ იყოს წინასწარ ინფორმირებული მაკონტროლებელი ორგანოს ვიზიტის შესახებ.

რეკომენდაცია 3

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოს

სააგენტომ შეიმუშაოს და მუდმივად განაახლოს კვალიფიკაციის ასამაღლებელი ონლაინ სასწავლო მასალები იმ ბიზნესოპერატორებისათვის, რომლებიც ფუნქციონირებენ რეგიონებში და არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსური რესურსი თანამშრომლებისთვის რეგულარული ტრენინგების ჩასატარებლად.

რეკომენდაცია 4

სურსათის ეროვნულ სააგენტოს

გათვალისწინებულ იქნას ეთნიკური უმცირესობების ინტერესები და შემუშავდეს გარკვეული სახის ინსტრუქციები, ბროშურები, სასწავლო მასალები ან/და ინტერნეტ რესურსები მათთვის მისაღებ ენაზე (აზერბაიჯანული და სომხური ენები).

რეკომენდაცია 5

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშაონ ეფექტიანი მონიტორინგის მექანიზმი ინსპექტორებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ხარისხის უფრო ხშირ და საფუძვლიან შემოწმებას.

რეკომენდაცია 6

ბიზნესოპერატორებს

სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტთან თანამშრომლობით უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაცვა, თანამშრომლების რეგულარული გადამზადება და საჭირო ცოდნითა და უნარებით აღჭურვა.

რეკომენდაცია 7

ბიზნესოპერატორებს

შესრულებილ იქნას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სურსათის უვნებლობის მოთხოვნები ბიზნესოპერატორების მიერ. გაუმჯობესდეს კვების ობიექტებზე არსებული მდგომარეობა, დაინერგოს და მუდმივად განახლდეს HACCP სისტემა.

რეკომენდაცია 8

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

სამინისტრომ შეიმუშაოს და განახორციელოს ნარჩენების მართვის იმგვარი რეფორმა, სადაც უზრუნველყოფილ იქნება ბიზნესოპერატორებისაგან წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებისა და შეგროვების სისტემა, ტრანსპორტირება, აღდგენა (მათ შორის, რეციკლირება) და გარემოსთვის უსაფრთხო განთავსება.

შეჯამება

აღნიშნული რეკომენდაციების მიზანია, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით იდენტიფიცირებული პრობლემების სახელმწიფო უწყებებამდე, ბიზნესოპერატორებსა და საზოგადოებამდე მიტანა, რათა ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას პრობლემების აღმოსაფხვრელად და გაიზარდოს საზოგადოების ინტერესი უვნებელი სურსათის საკითხისადმი.

მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მავნე სურსათის მოხმარებით მიყენებული ზიანის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი იყოს ეფექტიანი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. დაბინძურებული და ფალსიფიცირებული პროდუქციის სამომხმარებლო ბაზრიდან განდევნა (ზოგიერთ შემთხვევაში სიცოცხლისათვის საშიში პროდუქტი) და მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვა უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს პრიორიტეტს. მიზანშეწონილია, სააგენტომ სამინისტროსთან ერთად ხელი შეუწყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას სურსათის უვნებლობის შესახებ, მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვის მიზნით.